ოქმი:**ო31. 3126267001**
თარიღი:**24/09/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №9

ქ. ლანჩხუთი

17. 09. 2026 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები მაია ლომთაძე და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე დარეჯან ბურჭულაძე, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლოზ კოზანაშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ იმედაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ჩახვაძე/

3. „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლისთვის ეროვნული გმირის ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

4. „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლისთვის საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი, პუბლიცისტისა და მეცნიერის ისიდორე მანწკავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის აგვისტოს თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი თამაზ იმედაიშვილი/

6. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,მედალფასთვის” პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

7. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2026 წლის 25 სექტემბერი 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.
მუხლი 1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის N19 დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებულ დანართში ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში“ შევიდეს ცვლილება, კერძოდ:
1. დანართის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,2. მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღემდე შეუსრულდა ან კენჭისყრის დღეს უსრულდება 25 წელი და საქართველოში უცხოვრია 6 თვე მაინც.“
2. დანართის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა.ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,ა.ვ) საკუთარი უფლებამოსილების დელეგირებას ახორციელეს მერიის თანამდებობის პირებისათვის, სხვა საჯარო მოსამსახურეებისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისათვის, რაზეც გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს – მერის ბრძანებას. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“-ა.გ“, „ბ.ა“ – „ბ.გ“, „დ.კ“, „ე.ვ“ და „ე.ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები და ასევე მერის ის უფლებამოსილებები, რომლებიც კანონის შესაბამისად საკრებულოს მიერ დამტკიცებას ან თანხმობის მიცემას საჭიროებს არ შეიძლება გადაეცეს მერიის თანამდებობის პირებს, სხვა საჯარო მოსამსახურეებსა ან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს.“
3. დანართის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,4. მერიის სამსახურებია:
ა) ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური;
ბ) ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ინსპექტირების სამსახური;
გ) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;
დ) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური;
ე) განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;
ვ) შიდა აუდიტის სამსახური;
ზ) ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური;
თ) შესყიდვების სამსახური.“

4. ამოღებულ იქნეს დანართის მე-14 მუხლი.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და

წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ „ხალხის ძალა“.
3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ჩახვაძემ.** მან განმარტა, რომ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის N20 დადგენილებაში შეტანილი უნდა იქნეს შემდეგი ცვლილებები:
ა) დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. საბჭოს თავმჯდომარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთ-ერთი წევრი.“
ბ) ამოღებულ იქნას მე-5 მუხლის მეორე პუნქტი.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ „ხალხის ძალა“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ჩახვაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლისთვის ეროვნული გმირის ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ 2026 წლის 25 ივნისს, ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრში შემოვიდა სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლის დირექტორის, ქალნატონ ნინო მჟავანაძის #799933 წერილი, რომელიც ეხება სკოლისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ქართველი სამხედრო მოღვაწის, ეროვნული გმირის ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძის სახელის მინიჭების შესახებ. სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლისთვის ვლადიმერ გოგუაძის სახელის მინიჭების შესახებ საკითხი, განხილულ იქნა სკოლის სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოზე.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლისთვის ეროვნული გმირის ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ „ხალხის ძალა“.
3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლისთვის საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი, პუბლიცისტისა და მეცნიერის ისიდორე მანწკავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ,** რომლის განმარტებითაც რომ 2026 წლის 29 ივნისს, ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრში შემოვიდა სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლის დირექტორის, ქალბატონი ხათუნა აფხაზავას #814086 წერილი, რომელიც ეხება სკოლისთვის, ამავე სოფლის მკვიდრის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამოაზრის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლის, პუბლიცისტისა და მეცნიერის ისიდორე მანწკავას სახელის მინიჭების შესახებ.

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლისთვის ისიდორე მანწკავას სახელის მინიჭების შესახებ საკითხი, განხილულ იქნა სკოლის სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოზე.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლისთვის საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი, პუბლიცისტისა და მეცნიერის ისიდორე მანწკავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ „ხალხის ძალა“.
3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის აგვისტოს თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **თამაზ იმედაიშვილმა,** რომლის განმარტებითაც, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026

წლის ბიუჯეტის აგვისტოს თვეში საბიუჯეტო შემოსულობებმა შეადგინა 29362858 ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 11631986 ლარი; გადასახადების სახით მიღებულია 14349010 ლარი, მათ შორის დამატებითი ღირებულების სახით მიღებულია 11591443 ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 3353241 ლარი, აქედან ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 2478816 ლარი.

2026 წლის აგვისტოს თვეში გაწეული იქნა ლარის 29522248 ხარჯი. მათ შორის - შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 6294749 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 6622875 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 9978709 ლარი, სუბსიდიის მუხლით გაიხარჯა 1141165 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებზე მიმართულია 1084838 ლარი. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის აგვისტოს თვის შემოსავლების გეგმის შესრულების შესაბამისად მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულები სრულად არის დაფინანსებული.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის აგვისტოს თვის შესრულების პარამეტრები კარგია. როგორც ცნობილია, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ტერმინალიდან ჩაირიცხა დაახლოებით მილიონ ლარამდე. 2026 წლის ივნისის თვეში მოსალოდნელი ცვლილებიდან გამომდინარე, გაირკვა რომ 2010 წლიდან, ტერმინალიდან თანხა შედიოდა ქ. თბილისის ბიუჯეტში, რამაც, ჯამში შეადგინა ცხრა მლნ. ლარი. მოთხოვნის საფუძველზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დაუბრუნდა 2023-2025 წლის თანხა. აქედან გამომდინარე, ოფიციალური წერილით მიმართეს ქ. თბილისის მერს, მოხდეს მუნიციპალიტეტისთვის დარჩენილი თანხის დაბრუნება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის აგვისტოს თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის აგვისტოს თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,მედალფასთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილიმა.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით მომართა შ.პ.ს. „მედალფას" (ს/ნ 404908043) გენერალურმა დირექტორმა კახაბერ იშხნელმა, (კანცელარიის ნომერი 10/302617081-30 – 19.06.2026 წელი) რომელმაც ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან (ს/კ 27.06.56.803) დაკავშირებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს. „მედალფას" (ს/ნ 404908043) შორის არსებული სასყიდლიანი სარგებლობის უფლების (2021 წლის 14 ივლისის N1 სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულების) მოქმედების ვადის გაგრძელება.

,,ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, განსაზღვრავს სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების ქირის წლიური საფასურის ოდენობას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ შ.პ.ს. „მედალფას“ (ს/ნ 404908043) 5 წლის ვადით, გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით ქ. ლანჩხუთში, ნოე ჟორდანიას/კვირკველიას ქუჩაზე მდებარე 50 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.06.56.803). აღნიშნული ქონების წლიური საიჯარო ქირის ოდონობა განისაზღვროს 2500 (ორიათას ხუთასი) ლარით, რაც ყოველთვიურად შეადგენს 208,34 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ ჯანდაცვის მინისტრი დაეხმარებათ, მუნიციპალიტეტში საავადმყოფოს რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. ამის შესახებ, მუნიციპალიტეტის მერს ჰქონდა საუბარი გურიის გუბერნატორთანაც, რადგან საკითხი ძალიან მტკივნეულია და ნომერ პირველ პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობისთვის. მას ერთხმად დაეთანხმნენ ბიუროს წევრები.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ ავერსის კლინიკას ამ ეტაპისთვის არ გააჩნია კონკურენტი, რის გამოც, ახორციელებს არა მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე, არამედ, საკუთარ ნება-სურვილზე მორგებულ საქმიანობას. როდესაც გამოუჩნდებათ კონკურენტი, უახლოეს პერიოდში მოაწესრიგებენ მომსახურების პირობებს, რაც მოსახლეობისთვის უფრო კომფორტული იქნება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **მაია ლომთაძემ** თავის მხრივ აღნიშნა, რომ საკითხი ნამდვილად პრობლემატურია, მით უმეტეს, რომ დაიწყო სასწავლო წელი და ბავშვებთან მიმართებაში რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევის დროს, ფაქტიურად, შიშველი ხელებით არიან დარჩენილები.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,მედალფასთვის” პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ „ხალხის ძალა“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომაზე სიტყვით გამოსვლასთან დაკავშირებით განცხადებით (N10/31262593-31) მომართა შპს ,,ავტო 2018“-ს დირექტორმა, დავით გოგუაძემ.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, **კარლო კვიტაიშვილი** შეეხო რამდენიმე საკითხს. კერძოდ:

-დაინტერესდა, ქალაქში განსახორციელებელ ინფრასტრუქტულ პროექტებთან დაკავშირებით თუ რა სახის ცვლილებელია, რაზეც მუნიციპალიიტეტის მერმა განმარტა, რომ გამოცხადებულია ტენდერები. ასევე, საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით ელოდებიან ახალ პროექტებზე ტენდერს. ახალი კანონმდებლობით, ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი უნდა იყოს ექსპერტიზა გავლილი, ხოლო, შემსრულებელ კომპანიებს უნდა ჰქონდეს აკრედიტაცია. ადგილობრივ დონეზე გაკეთებული პროექტები, რომლითაც დროს იგებდნენ, აღარ განიხილება.

-ყურადღება გაამხვილა სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით მგზავრობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ 17 წლის მოსწავლეს არ გადაახდევინებენ მგზავრობის საფასურს. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი მოსწავლე 18 წლისაა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** გამოთქვა მოსაზრება, რომ სკოლამ მოსწავლეებს მისცეს შესაბამისი ბარათი, რაზეც დაეთანხმა მუნიციპალიტეტის მერი და აღნიშნა, რომ ეს სრულიად შესაძლებელია, მით უმეტეს, რომ თვითონ ბანკმა გამოთქვა დახმარების სურვილი მოსწავლის ბარათის დამზადებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა მდგომარეობაა სპორტული ცენტრის ეზოს მოწესრიგებასთან დაკავშირებით. ასევე, შეეხო ავტობახიდან შემოსასვლელის მიმდებარე ტერიტორიაზე შექმნილ სიტუაციას და აღნიშნა, რომ მდგომარეობა კატასტროფულია.

სპორტული ცენტრის საკითხთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ფიქრობდნენ, გაეკეთებინათ გარდამავალი პროექტი, მაგრამ ამ ეტაპისთვის სამუშაო პროცესი სწრაფად და ინტენსიურად მიმდინარეობს. ასევე, სრულადაა გათვლილი, თუ რა ღირებულების ინვენტარია საჭირო, რის შესახებაც ინფორმაცია მიწოდებულია შესაბამისი სამინისტროსთვის. რაც შეეხება ავტობანიდან ქალაქში შემოსასვლელს, მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ადგილზე გასულები იყვნენ მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები და აქვთ გარკვეული მონახაზი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ სამი დღეა სოფელ ბაღლეფს არ მიეწოდება წყალი.

მუნიციპალიტეტის მერი შეეხო რკინიგზის სადგურების საკითხს და აღნიშნა, რომ აჩქარებასთნ დაკავშირებით, უნდა შეიღობოს რკინიგზის სადგურების მიმდებარე ტერიტორია, რამაც მოსახლეობას შეუქმნა რთული სიტუაცია. ადგილზე ჩამოსული იყო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და ჩასვეს მხოლოდ შენობის რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის მერმა თხოვნით მიმართა მათ, რომ თუ ვერ გააკეთებდენ რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიას, მაშინ გადმოეცათ მუნიციპალიტეტისთვის. განსაკუთრებით კატასტროფული მდგომარეობაშია ნიგოითის რკინიგზის სადგური.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ ანალოგიურ სიტუაციაშია სუფსის, ნიგვზიანის და სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში რკინიგზის სადგურები. ამასთან, იმ მოგების ფონზე, რაც საქართველოს რკინიგზას აქვს, კეთილი უნდა ინებოს და დეპარტამენტმა მოაწყოს რკინიგზის ქვეშ გადასასვლელები. მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, ეს საკითხი თავადაც დააყენა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ძალიან ცუდი სიტუაციაა ლანჩხუთის რკინიგზის სადგურის მიმდებარედ, არადა, პატარა ტერიტორიაა.

მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ეს საკითხი გათვალისწინებული იყო აგრარული ბაზრის კეთილმოწყობის პროექტში. ამის შემდეგ, აღნიშნა, რომ რეგიონული განვითარების ფონდის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთში გაკეთდება სპორტულ-კულტურული (მულტიფუნქციური) ობიექტი. პროექტი უკვე გამზადებულია, სადაც ასევე, გათვალისწინებულია კაფე.

შპს ,,ავტო 2018“-ს დირექტორმა, **დავით გოგუაძემ,** პირველ რიგში მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ მიეცა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე სიტყვით გამოსვლის უფლება, რის შემდეგ აღნიშნა, რომ შპს შეიქმნა სააქციო საზოგადოება ,,ავტოს“ ბაზაზე და იგი საქმიანობას ახორციელებს იმ ტერიტორიაზე, რომელიც თავის დროზე, მაშინდელმა მთავრობამ გამოუყო. სატრანსპორტო საშუალებები არის მძღოლების საკუთრება, ხოლო შპს არეგულირებს საქალაქთაშორისო მარშრუტებს, რაც სხვა ქალაქებთანაა შეთანხმებული და მოძრაობის დრო დაცულია. შპს-ს საქმიანობა ხორციელდება შემდეგნაირად: დილის 07:00 საათიდან დგება სამი სატრანსპორტო საშუალება 10:30 საათამდე, ხოლო შემდეგ, 17:00 საათამდე ორ-ორი მანქანა. მიღებული რეგუალციების გათვალისწინებით, ამ მხრივ, შპს-ს შეექმნა გარკვეული პრობლემა, აქედან გამომდინარე, მათი თხოვნაა, რომ აღნიშნული დროის ინტერვალში საქლაქთაშოროსი სატრანსპორტო საშუალებებისთვის გამოიყოს გაჩერების ადგილი, რათა მოსახლეობას გადაადგილებასთან დაკავშირებით არ შეექმნას პრობლემა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ კომისიას განსახილველად აწერია ეს საკითხი, შესაბამისად, უნდა დაისვას კითხვა- ფლობს თუ არა შპს ,,ავტო 2018“ საქმიანობის განსახორციელბლად ლიცენზიას, რაზეც დავით გოგუაძემ განმარტა, რომ მათ არ აქვთ ავტოსადგურის სტატუსი, მაგრამ მძღოლები ფლობენ სერთიფიკატებს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, **გიორგი ჩახვაძე** დაინტერესდა, არის თუ არა შპს გადამხდელ უნარიანი, თუკი მათი მოთხოვნის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ მოხდება ადგილის გამოყოფა, რაზეც გადასახადის სახით, კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა განისაზღვროს გარკვეული საფასური.

შპს ,ავტო 2018“-ს თანამშრომელმა, **ასმათ ჯორბენაძემ** განმარტა, რომ მათ აქვთ ორი ორგანიზაცია-სააქციო საზოგადოება ,,ავტო'', რომელსაც სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად შეექმნა გარკვეული პრობლემები, რის შემდეგ მის ბაზაზე დაფუძვნდა შპს ,,ავტო 2018“. 2013 წელში, როცა შეიქმნა სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, მათ გამოაგზავნეს წერილი, რითაც ითხოვდნენ, დაეზუსტებინათ მუნიციპალიტეტში არსებული საქალაქთაშორისო მარშრუტები და დაფიქსირებულიყო მძღოლები. 2022 წელში, სააგენტოს ხელმძღვანელის წერილობითი მოთხოვნით, ქალაქთა შორის შეთანხმების საფუძველზე, ისევ გადაიგზავნა მძღოლებისა და მარშრუტების შესახებ ყველა ინფორმაცია, რის შემდეგაც მოხდა რეგისტრაციაში გატარება. 2025 წლის გაზაფხულისთვის მოვიდა დადგენილება, რომ რეგისტრაციაში უნდა გატარებულიყო ავტოსადგურები, მე-2 და მე-3 კატეგორიის ავტოსადგომები. ყველაზე დაბალი კატეგირია არის ,,გაჩერება-სადგომი“, რაზეც შპს ,ავტო 2018“-ს დაწერილი აქვს მოთხოვნა, მაგრამ იმ პერიოდში, როცა ხდებოდა რეგისტრაცია, შპს-ს დირექტორი, დავით გოგუაძე იყო ავად., ამიტომ, ყველა მძღოლს ააღებინეს სერთიფიკატი და ისინი წარმოადგენენ ,,ინდმეწარმეს“ ან ,,მცირე მეწარმეს''. შესაბამისად, აქვთ ვალდებულება სახელმწიფოსთან და წლის ბოლოს ავსებენ დეკლარაციებს. გარდა ამისა, შპს-ს აქვს საბანკო ანგარიში და გარკვეული ვალდებულება, როგორც ზემდგომ უწყებასთან, ასევე, სახელმწიფოსთან. თავის დროზე, სააგენტოს მიერ შემოწმდა გაჩერებისთვის გამოყოფილი ტერიტორია და მძღოლების მონაცემები, რომელიც სრულად აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს. იმისთვის, რომ შპს ,,ავტო“-ს მიეხიჭოს ლიცენზია და ,,ავტოსადგომის'' სტატუსი, მუნიციპალიტეტმა უნდა გამოყოს სატრანსპორტო საშუალების გასაჩერებლად დაახლოებით 90-100 კვ. მ. ფართი. გარდა ამისა, შპს-ს საქმიანოობა ხელს არ შეუშლის მუნიციპალურ

ტრანსპორტს, რადგან მათი განრიგები არ ემთხვევა ამასთან, მოსახლეობა, მგზავრობის საფასურიდან გამომდინარე, ძირითადად სარგებლობს მუნიციპალური ტრანსპორტით, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი არ გადაადგილდება სხვა ქალაქში.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკითხი განსახილველად აწერია საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას. შესაბამისად, მსჯელობა გაგრძელდება კომისიის სხდომაზე, სადაც ასევე, მოწვეული იქნებიან შპს ,,ავტო“-ს წარმომადგენლები.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი